№ 264 დეკემბერი 12, ოთხშაბათი 1890 დეკემბერი 12, ოთხშაბათი № 264

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასავლეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებს და თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტიშობის თთვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევსკის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირაღოვის შენობის კუთხეში, ნემენცების ქუჩისა და ეიგუშინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ შეწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მიეიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—3) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

## ბენეფისი არტისტის დ. მ. აწყურელისა

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

„ციმბირელი"

კომ. 4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.

მოქმედება 1. მაზუთიანის ავაზაკობა.
მოქმედება 2. ციმბირელის (ივანე უსტაბაშის) დაბრუნება ციმბირიდგან.
მოქმედება 3. კაჰკაჰელი მეტუას სიყვარული.
მოქმედება 4. ღვთის სამართალი, ანუ ავაზაკ მაზუთიანის დასჯა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, იოსელიანისა, მძინარიშვილისა, ციციშვილისა; ბბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე, კობაძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას" მოუვიდა ცხინვალიდგან, ქ-ბნ ქ. ქურულის თაოსნობით გამართულ წარმოდგენიდამ შემოსული ფული 82 მან. და 85 კაპ.

გამგეობა „საზოგადოებისა" გულითადს მადლობას უძღვნის ქბ-ნს ქურულისას.

*** როგორც სჩანს ჯერ კიდევ არ გადამწყდარა საბოლოვოდ „ტფილისის საბრანიის" გადასვლა იზმიროვის სახლებში თ. ივ. მუხრან-ბატონის სახლებიდამ. ამ სახლების მზრუნველს ბ-ნ ს. კორინთელს გამოუცხადებია საბრანიისათვის, რომ რვაას თუმნად დაგითმობთ კლუბის სადგურსაო და ამას გარდა სადგურის შესაკეთებლადაც სამას-ოთხას თუმანს ხარჯს ვიტვირთებო. აქამდე-კი, როგორც ჩვენს გაზეთშიც იყო მოხსენებული, საბრანიას სთხოვდნენ ამ სახლებში ათას თუმანს, ცხრა ასის თუმნის მაგიერ. ამ დღეებში იქნება საბრანიის წევრთა კრება, რომელმაც უპირველეს ყოვლისა ეს საგანი უნდა განიხილოს.

*** კვირას 9 დეკემბერს ტფილისის საქალაქო სამკურნალოს დარბაზში პირველი კრება იყო ახლად დამტკიცებულის კავკასიის ფარმაცევტების საზოგადოებისა. კრებაზე არაწევრნიც ბევრნი დაესწრნენ. გადახდილ იქმნა პარაკლისი ტფილისის სასულიერო სემინარიის მღვდლის მამა ბერძენოვის მიერ. შემდეგ პარაკლისისა წარმოსთქვეს სიტყვა: მკურნალმა ოდნოსუმოვმა, თავსმჯდომარემ საზოგადოებისამ კრესლოვსკიმ, მისმა ამხანაგმა იუზბაშევმა, თავსმჯდომარემ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისამ რეიხმა და სხვ. დასასრულ გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა საპატიო კაცნი.

*** კვირას 9, დეკემბერს, ტფილისის საბრანიის დარბაზში გამართული იყო სატანცაო საღამო ტფილისის სომეხთა დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საღამოზედ დაესწრნენ, სხვათა-შორის, პრინცი ლუი-ნაპოლეონი, გენ. ლეიტ. თ. ი. გ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე და სხ. შემოსავალი 1500 მან. მეტი შესდგა. ცეკვა-თამაშობამ დილის 5 საათამდე გასტანა.

*** ტფილისის საავადმყოფოში პირველს ნოემბერს იყო 266 ავადმყოფი. ნოემბერში იქმნა მიღებული კიდევ 201 ავადმყოფი, დაანება თავი საავადმყოფოს 162-მა, გარდაიცვალა 28 სული და 1 დეკემბერს დარჩა კიდევ 277 სნეული. ამათში გადამდები ავადმყოფი იყო: 8 ხუნაგიანი, 1 მუცლით ავადმყოფი, 15 ციებ-ცხელებიანი, 1 წითელიანი, 1 სოფლიანი და 14 ყვავილიანი.

*** ჯიბგირები აღარ ისვენებენ. აქამდე ჩოხები ეცვათ, მაგრამ, რაკი შენიშნეს, რომ ჩოხიანებს ძლიერ ერიდებიან დიდ-ქუჩებზე, ახლა პალტოები ჩაიცვეს და ისე ეტანებიან თავიანთ საკბილოებს. 5 დეკემბერს კავკაზის სასტუმროს წინ ერთმა ამისთანა ვაჟბატონმა ამოაცალა ჯიბიდამ ერთს მანდილოსანს ქისა. ამ დღეებში ამოაცალეს კიდევ ჯიბიდამ იმავე ალაგას პორტმანი ერთს ნოქარს. ჯიბგირი დაიჭირეს და პოლიციაში წაათრიეს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას წარსულს ნოემბრის თთვეში შემოსავალი ჰქონია 42,483 მან. და 17 კაპ. ხარჯი-კი 38,632 მან. და 81 კაპ. ხოლო პირველ იანვრიდგან პირველ დეკემბრამდე შემოსავალი ყოფილა 639,719 მან. 5 კაპ. და ხარჯი 635,727 მან. 85 კაპ.

*** ახალ-სენაკი: სახალხო ბიბლიოთეკა ქართულის წიგნებისა გაიმართება ჩვენს დაბაში პირველ იანვრიდგან. ბიბლიოთეკას ჰმართავს ბ-ნი ვ. ნოდია, რომელმაც მისი ზედამხედველობა და ყურის-გდება ჩააბარა აქაურის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ ბ. მიქაძეს.

*** კვალითი (შორაპნის მაზრა) ჩვენს სოფელში სცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული კაცი სიმონა სამყურაშვილი, რომელიც მოსწრებია მეფე ერეკლეს დროს. სიმონა სამყურაშვილი ეხლა 121 წლისაა, მაგრამ ჯერ მაინც ისევ ყოჩაღად არის: წირვა-ლოცვას არ აკლდება და სოფლის საქმეშიაც მონაწილეობას იღებს; ძლიერ უყვარს ძველის ამბების გამო მუსაიფი, მაგრამ სამწუხაროდ ძნელი გასაგებია მისი ნაამბობი, მეტად გაურკვევლად ლაპარაკობს სიბერისა და მოხუცებულობის მიზეზით.

*** სოფ. მარაბდიდამ სწერენ გაზ. „Кавказъ"-ს რომ მეცხვარე თათრებს აქეთ დაუდით თავიანთი ცხვარი ზამთარ-ზაფხულს და იშვიათად გაივლიან ისე, რომ ერთი ჩხუბი და ვაი-ვაგლახი არ აუტეხონ აქაურებსაო. ამ დღეებშიაც მოხდა ერთი ასეთი ჩხუბი, რომლის მსხვერპლად შეიქმნა ერთი ბორჩალოელი თათარი მეცხვარე ისმაილ-ოღლიო.

◆◆

## ფელეტონი

### სიმღერა.

რა გინდა ბედმა მიმტყუნოს,
რაგინდ ვარამმა მკბინოსა.
კიდევ შავმღერნებ ერთხელა,
რომ გულმა მაილხინოსა.
მურის მაგივრად არა სჯობს
პირს ვარდი მაიფინოსა?!
რა კაცი ჰქვიან იმასა,
ვინც ჯავრის ხდება ვირადა.
ადე, შაჰხედე ქვეყანას,
გორიდამ გორის პირადა!
წელან რო ჩალად არ გიჩნდა,
დაგიფასდება ძვირადა;
რაც უნდა უძლური იყო,
თავს სცნობ უსწორო გმირადა...
არავის არ დაედები ტყლაპად
და ქალმნის ძირადა,
მოზლვავებული ნაღველი
მოგეჩვენება ლხინადა.

ვაჟა-ფშაველა

◆◆

### შეშლილი

(ნათარგმნი ფრანგულიდგან)

ერთხელ სულით ავადმყოფთა სამკურნალოში მიველი დასათვალიერებლად. ახალგაზდა მკურნალმა, რომელიც დათვალიერების დროს თან დამდევდა, მითხრა, ერთი უცნაური ავადმყოფი უნდა გაჩვენოვო და რომელიღაც ოთახი შეაღო.

დიდს სავარძელში, ლამაზი, მოხდენილი ესე ორმოცის წლის ქალი იჯდა, ხელში პატარა ხელის სარკე ეჭირა და ჩაფიქრებული ჩაიყურებოდა. დაგვინახა თუ არა, ქალი ცოტა არ იყოს შეშინდა, საჩქაროდ ზეზე წამოხტა, წაავლო პირბადეს ხელი და ჩამოიფარა. მერე მოკრძალებით, გაუბედავად მოგვიახლოვდა და თავი დაკვიკრა ჩვენის სალამის პასუხად.

— რა ამბავი, როგორ ატყობთ თქვენს თავსაო? ჰკითხა მკურნალმა.

ოჰ, ცუდად, ძლიერ ცუდად არის ჩემი საქმე, ბატონო მკურნალო: მუწუკები უფრო და უფრო ამომდის: ლოყაზე ოთხი კიდევ ამომივიდა, შუბლზე—სამი, ნიკაპზედაც—კიდევ ერთი, მთლად და საუკუნოდ დავახინჯდი-დავსახიჩრდიო, სთქვა ქალმა და ხმამაღლა ტირილი დაიწყო.

— კმარა, დამშვიდდით! აბა მუწუკები მაჩვენეთ!

— ვერა, ვერ გაჩვენებთ, ბატონო მკურნალო, არ შემიძლიან!

ქალი უარესად გამწარდა და ხელებიც-კი პირბადეზე მიიფარა.

— აბა, რა გიყოთ, თქვენ თითონ მიშლით, რომ მოგარჩინოთ. ხომ იცით, რა ადვილად მოგაშორებთ ხოლმე მაგ მუწუკებსა.

— ბატონო მკურნალო, გაჩვენებდით, მაგრამ... არა, საშინლად მრცხვენიან, ძლიერ დამახინჯებული ვარ... მაგ კაცს ვერ ვიცნობ.

ოჰ, თუ ღმერთი გწამთ, მაგაზე ნუ სწუხდებით, ესეც მკურნალია და ჩემზე უკეთესად შეუძლიან თქვენი მორჩენა.

ქალმა გაბედა პირბადის ჩამოხსნა. მაგრამ, ღმერთო! რამდენი მწუხარება, შიში და ტანჯვა იხატებოდა იმის სახეზედ! ხან წითლდებოდა საწყალი, ხან ფითრდებოდა, პირს გვარიდებდა, რომ შეკრთომა არ შემატყონო და განუწყვეტლივ სულ ამას ლუღლუღებდა:

— ღმერთო, რა რიგად ვიტანჯები, რა ნაირად ვიტანჯები! ასე დამახინჯებული ვარ და თქვენ კიდევ მიცქერით! საზარელი შესახედი ვარ განა!? ავადმყოფს შვილს ვუვლიდი და იმ დროს შემხვდა ეს ჭირი. ჩემი სილამაზე ჩემს შვილს შევწირე, ის გადავარჩინე, მაგრამ მე თითონ-კი... ქილმა ხელ-ახლად მორთო ხმა-მაღლა ტირილი.

მე შევცქეროდი და მიკვირდა იმის სიტყვები, რადგან ლამაზი სახე ჰქონდა და მუწუკი-კი არა, უბრალო ლაქაც არსად ეტყობოდა.

მკურნალმა სკამი მიიდგა ქალთან ახლო და ალერსიანად უთხრა:

— სუთ, გეყოფათ ტირილი. აი ფრთით პატარა წამალს წაგცხებთ და ეხლავე ჩამოგცვივათ ეგ მუწუკები. მკურნალმა ჯიბიდგან უბრალო ფრთა ამოიღო, წაუსვა ჯერ ლოყაზე, მერე შუბლზე, ნიკაპზე, ვითომ მართლა მუწუკებს ვაყრევინებო და ბოლოს უთხრა:

— აბა ნახეთ, ეხლა ერთი მუწუკიც აღარა გაქვთ. ქალმა როგორღაც უნდობლად შეხედა მკურნალს, აიღო სტოლიდგან სარკე, ჩაიხედა და ლონიერად ამოიოხრა:

— ჰო, ეხლა ისე აღარ მეტყობა. გმადლობთ, ბატონო მკურნალო.

როცა ავადმყოფის ოთახიდგან გამოვედით, მკურნალმა ეს ამბავი მიამბო იმ ავადმყოფზე:

ეგ საწყალი ახალგაზდობაში შესანიშნავი ლამაზი, თამამი და ტანადი ქალი იყო. მთელმა მაგისმა სიცოცხლემ სულ ზედიზედ გამარჯვებაში გაიარა და საზრუნველიც სხვა არა ჰქონია-რა, გარდა თავისის სილამაზის მოვლისა.. გაეიდა დრო, დაქვრივდა და ვაჟიშვილი დარჩა; ხოლო ზრდით-კი თითონ არა ზრდიდა და ძიძა-გამდელები დაუჭირა. შვილი ეზრდებოდა და თითონ-კი მოხუცებაში შედიოდა. არ ვიცი, გრძნობდა, თუ არა, ვარდი მიჭკნებაო, დასცქეროდა, თუ არა მთელი საათობით თავისს ოდესღაც ფუნჩულა, მაგრამ ეხლა-კი შეხმელებულ-შეფერფლილს კანს, ისინჯავდა, თუ არა, შუბლის ნაოჭებს, რომელიც თანდათან ემატებოდა და შხამიან გველსავით ულარავდა და უშნოვებდა სახეს; გამოიარა თუ არა, საზარელი ტანჯვა ხელის სარკისა, ამ შეუბრალებელის მტარვალისა, რომელსაც ქალები გაბრაზებული გადასტყორცნიან ხოლმე, მაგრამ ისევ მალეკი იღებენ ხელში, რომ ხელმეორედ დაინახონ ნიშნები სიბერეს მოახლოვებისა და ის უბედურებაც გაითვალისწონონ, რომელიც დღეს არა ხვალ მაინც არ ასცდებათ და არა!?

არ ვიცი, გაიპარებოდა ხოლმე თუ არა, სასადილო ოთახიდგან, სადაც მისი მეგობრები მასლაათობდნენ, თავისს ოთახში ათჯერ, ოცჯერ, სულ უმიზეზოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ სხვების ჩუმად გაესინჯა ახალი ნიშანი უბედურების გამძვინვარებისა — ის ნიშანი, რომელსაც სხვები ჯერ ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ თვითონ-კი—ოხ, თვითონ-კი კარგად ამჩნევდა, იცოდა და იტყობდა, რა ადგილასაც დაჰკოდდა ხოლმე დაუნდობელი მახვილი ჟამთა წინ მსვლელობისა, სარკე, პატარა სარკე ხომ საზარელს ამბებს მოუთხრობდა — მოუთხრობდა-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ სარკესაც კაცსავით შეუძლიან ლაპარაკიც, სი-

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია. ცუდი სახელი აქვთ გურულებს დავარდნილი. გარეშენი და ზოგნი აქაურნიც იმ აზრისანი არიან, რომ გურულნი დავიდარაბისა და საჩივრის მოყვარულნი არიანო. გურული, თუ ვისმეს არ უჩივის, ან თუ თვითონ იმას არავინ უჩივა, ისე ვერ გასძლებს, ვერ მოისვენებს. უსათუოდ საჩივრის ფიქრებში უნდა ალამებდეს, ათენებდეს, ეპარებოდეს წუთი-სოფელიო. ხშირად მოსჩივანი „დარწმუნებულიც რომ იყოს, რომ საჩივრის დასამტკიცებლად საბუთი არა მაქვს, ვერაფერს მოვიგებ, ვერას დავაკლებ მეტოქესაო", მაინც დიდ მხნეობასა და მუყაითობას იჩენს, გულს არ იტეხს, თავს არ ანებებს დავი-დარაბას; არ ჰზოგავს არც დროს, არც ხარჯს; წაგებული საქმე ერთის სასამართლოდამ მეორეში გადააქვს, მეორედამ მესამეში და ასე აჭიანურებს, ახანგრძლივებს. ერთს საჩივარს რომ ბოლო მოეღება, მეორეს მოჰკიდებს ხელსაო. კარგად ჰგრძნობს, რომ ასეთი საქციელი დიდად საზარალოა მისთვის, მაგრამ მაინც არ იშლის ქიშპობით, ქინიანობით, რომ მოპირისპირე აწოწიალოს, მიათრ-მოათრიოს, მოაცდინოს, და დაღალოს მოწოდებისამებრ მისვლა-მოსვლით. ამ ზნეობრივს სისუსტეს დიდი წილი უძევს ხალხის ნივთიერად დასუსტება-დაქვეითებაშიო.

ბევრი რამ ამ საყვედურში მართალია, მაგრამ ბევრი რამ განგებ გაზვიადებულია და უმრავლესობის შესახებ სრულიად არ ითქმის ზემოხსენებული საყვედური. ყველასათვის ცხადია, რაც ხარჯი მოსდევს დავასა და საჩივარს. უმეტესობა თავისის თავის მტერი ხომ არ არის, რომ სხვის ჯიბრისათვის იმდენად გამოიდოს თავი, საჩივრის ქაღალდებზე მარკები აკრას, დრო ჰკარგოს. გურული არც ისეთი ცხოვრების უცოდინარია, რომ საცა არა სჯობდეს, გაცლა არ ირჩიოს. ისიც საკმარისია, თუ რაც კანონიერ საფუძლიან საჩივრად დასახული, იმას მისდია და იმის ხარჯს გაუწევა.

ცოდვა გამჟღავნებული სჯობია და უნდა-კი ვსთქვათ, რომ ერთმანერთის დაუნდობლობისა, გაუტანლობისა, მტრობა-სიძულვილისა და შურის ნაპერწკალი, თითო-ოროლას-კი არა, შესამჩნევს რიცხვს უღვივის გულში. უნდათ სხვის გაუბედურებით გაიხარონ, თანამოძმის დაჩაგვრაზე ააგონ თავისი წარმატება და ბედნიერება. ამას მოსდევს ენატანიობა, ჯაშუშობა, ბეზღობა, დასმენა, „დანოსი", მოყვასის ძაგება—ძულება და ისეთი ცილის წამება, რომ შეიძლება ადამიანს, სრულიად უდანაშაულოდ, სიცოცხლე გაუმწარდეს, ჯოჯოხეთად გადაექცეს.

ისე მოიყარა გარემოებამ თავი, რომ მაბეზღარისათვის ხარჯი და ცდენა არ არის საჭირო, ერთი უმარკო ქაღალდის ან სიტყვიერი მოხსენება საკმარისია, რომ მახეში გაება ის, ვინც ნიშანში ამოულია და ვის წახდენასაც არის მოწადინებული. დამბეზღებელი სასიამოვნო გულის ძგერით არის თავისთვის არხეინად, მხრების მაღლა აწევით, ხელების ფშვნეტითა, ულვაშების „წკეპა"—გრეხითა და გასწორებით შეჰყურებს, „სეირს", რომ მისმა სიტყვამ გასჭრა და პასუხის გებაში მიცემული თავსა და ბედს იწყევლის. თუ ამ უკანასკნელმა დამსმენს შეხჩივლა თავისი დარდი და ვარამი, ის გაიოცებს, იუცხოებს და ეტყვის: „ეს ჩემდა ახალი გაგონებაა!" ვინ სულ-გაყიდულმა და სინიდისზე ხელ აღებულმა გაგწირა და დაგასმინა უდანაშაულო კაციო. ბევრს სხვა გაცვეთილსა, გაძვერულსა და ჰრელს სიტყვებს ეტყვის, თავს მოიკატუნებს თანამგრძნობელისა, გულ-შემატკივარის და შემბრალებულის სახის მეტყველებას მიიღებს, ასე რომ, აფიქრებინებს, ეს კაცი „ცაში მართალია", ჩემს საცოდაობაში არ გაერევაო.

უკუღმართს ვარსკვლავზე დაბადებულმა, თანამოძმეთა საჭირ-ბოროტოდ და გასაწყრებლად გაჩენილმა, ავაზაკმა დარჩიამ ბევრი ადამიანი ამოიშავა და აწიც, ვინ იცის, რამდენს ამოიშავებს და ჩაიტანს. დიაღ, დარჩიას ბევრი ცოდვა-ბრალი აწევს კისერზედ, იმის დაფარვა-შენახვისა და ხელის მომმართველისთვის ბევრს ღირსეული სასჯელი მიაგეს: ზოგი გადაასახლეს, ზოგს საპყრობილეში გაატარებინეს რამდენიმე თვეე და წელიწადი, ზოგნი დღესაც სხედან ციხეში. ცოტას არ ჩაიტანდა ისეთებსაც, რომელთაც ავაზაკი დარჩია იქნება თვალითაც არ უნახავთ, ვერ იცნობენ და მხოლოდ გაგონებით გაუგონიათ მისი სახელი. ვინც დაბეზღების მოყვარული არის და მეზობლის ჯავრი სჭირს, შეუძლია დარჩია იარაღად, საშუალებად და საფუძვლად გამოიყენოს, ადვეს და მიახაროს პოლიციას, ესა და ეს ინახავს ფირალსაო. ადმინისტრაცია, რასაკვირველია, შედის განხილვა-გამოკვლევაში, ერთისა და ორის თქმით, არავის ბედიბალს არა სწყვეტავს, მაგრამ ენება-წყენა დიდი შეუძლია დასმენას. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, განა ისკი არა კმარა სასჯელად, რომ წინად, თუ კეთილისა და პატიოსანის კაცის სახელს ატარებდა, დასმენას შემდეგ სახელი უტყდება და ასე თუ ისე ჩირქი ეცხება მის პატიოსნებას.

ამ ერთის თვის წინად „ივერიაში" იყო მოხსენებული, რომ 150-ზე მეტს კაცს აბრალებენ ყაჩაღის დარჩიასთვის მფარველობის გაწევასაო. იმათზე „დანოსი" იყო გაგზავნილი და გადასასახლებლად ამზადებდნენ. ეხლა, როგორც გავიგეთ, მთავრობას ეჭვი აულია იმათ ბრალიანობაზე და შეპყრობა-გადასახლება აუცილებია მათთვის თავიდამ; შენიშნულ - შეწამებულთა დავთარში-კი იქნებიან ჩაწერილნი და პოლიციას განსაკუთრებული ყურადღება ექმნება მიქცეული მათთვის.

თეოფანე კალანდარიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყველას ეხსომება, რა ეშვის თვალით უყურებდნენ ტფილისის ფულის პატრონები ცხენის რკინის გზის ვაგონებს. ტფილისის ვაჭარს, ფულიანს კაცს დიდს საქმეზედ ვერაფრით ვერ მოაკიდებინებ ხელს: გააღებს საწვრილმანო დუქანს, ჩაუჯდება და ორ-გროშობითა სცდილობს ფულის მოგებას, დასტა-დასტა ფულებს-კი ბანკში შეიტანს, არ დამეწვებაო. ამასობაში გონება გახსნილი ფრანგი, ან გერმანელი სულ უფულოდ ჰკიდებს დიდს საქმეს ხელს და ამის წყალობით ხარჯს ადებს ტფილისელებს, ფული გააქვს უცხოეთში და ქვეყანას ფული აკლდება. სწორედ ასეთი საქმე დაჰმართა ტფილისელებს ბელგიის უსახელო საზოგადოებამაც, რომელსაც ჩვენს ქალაქში ცხენის რკინის გზა აქვს გამართული. გაზ. „Нов. Обоз."-ს წარსულ კვირინდელს ნომერში დაბეჭდილია რამდენიმე ცნობა ამ საზოგადოების ოფიციალურ ანგარიშიდგან, რომელიც წარსულ ოქტომბრის თვეში წარუდგენიათ აქციის პატრონთა საზოგადო კრებისათვის ბრიუსელში. აი რა შემოსავალი ჰქონიათ 1885—1890 წ.წ.

საერთო შემოსავალი პირველ წელს (1885 წლის პირველ ივლისიდგან 1886 წ. პირველ ივლისამდე) ყოფილა 545,104 ფრანკი 90 სანტიმი, მეორე წელს—622,391 ფრანკი 68 სანტ., მესამე წელს—686,971 ფრ. 19 სანტ., მეოთხეს—710,995 ფრ. 73 სანტ. და მეხუთეს—747,663 ფრ. 62 სანტ. ერთის სიტყვით, საერთო შემოსავალს 37%-ით უმატნია. წარსულს წლის განმავლობაში (1889 წ. 1 ივლისიდგან 1890 წ. 1 ივლისამდე) ცხენის რკინის გზის მმართველობას ხარჯი ჰქონია 478,099 ფრ. 70 სანტ. მაშასადამე, წმინდა მოგება დარჩენია 269,563 ფრ. 92 სანტ.

ანგარიშში ყურადღებას იქცევს ზოგიერთი რიცხვი: მაგალითებრ, მმართველობა თავისს 219 ცხენს 62,820 ფრ. აჭმევს. ამ ჯამიდგან 8,000 ფრ. რომ გამოვრიცხოთ სანგარიშო წლის ხარჯისათვის, მაინც 54,820 ფრ. დარჩება. ეს ფული რომ გავჰყოთ 219-ზედ, გამოვა რომ თითო ცხენს უსახელო საზოგადოება ცხენის რკინის გზისა აჭმევს 250 ფრ., 32 სანტ., ან ჩვენებურის ანგარიშით,—მმართველობა 1 მანეთს 2 ფრანკად და 50 სანტიმად ანგარიშობს,—ათ თუმანზედ მეტი. ყველა დაგვეთანხმება, რომ ის თაგვები, რომელიც ცხენის რკინის გზის ვაგონებს უბიან, ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ამის ნახევარიც არა ჰღირს.

მმართველობის შემოსავალი უფრო მეტად უნდა ჩაითვალოს, რადგან მანეთი კურსით 2 ფრანკსა 50 სანტიმზედ გაცილებით მეტად ჰღირს. თვით მმართველობავე აღიარებს ანგარიშის ერთს ადგილას, რომ ტფილისის მანეთი 3 ფრანკად და 17 სანტ. გავუცვალეთო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, ბელგიის უსახელო საზოგადოებას სულ 14,000 აქცია აქვს და თითო აქცია ჰღირს 100 ფრ., ე. ი. მთელი თანხა ამ საზოგადოებისა შეადგენს 1.400,000 ფრანკს. ამათში 164 აქცია უკვე გადახდილია და მოშორებული.

ორიოდე სიტყვით რომ მოვჭრათ ეს ჩვენი ანგარიში, ბრიუსელში ტფილისიდგან გააქვთ 100,000 მანათი წელიწადში, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, როგორც გაზეთი ამბობს, ყოველი ტფილისელი ბელგიელთა სასარგებლოდ იხდის წელიწადში ერთს მანათს, მხოლოდ იმიტომ-რომ ჩვენს ფულიანს კაცებსა და ხმოსნებს გაბედულობა, საქმის მოთავეობა და მოსაზრება აკლიათ...

**

---

ცილიც და ზოგჯერ წინასწარმეტყველება და კაცის გაფრთხილებასაც-კი. სიკვდილამდის ისე უწერია მაგ საბრალოს, რომ სულ ამ ცეცხლის ტანჯვა-ვაებაში იყოს და შავი, მწარე ფიქრები ულრღნიდეს გულსა. სიკვდილს, მხოლოდ სიკვდილს შეუძლიან დაამშვიდოს და დაიხსნას ამ ვაისაგან.

არ ვიცი, უტაცნია თუ არა შუბლში ხელები და უტირნია თუ არა დაოსებამდე ამ ბედკრულს, შეჰვედრებია თუ არა ზენას, რომლის ასეთნაირად გვიმოკლებს სიცოცხლეს, გვაძლევს ჯერ ახალგაზრდობას, რომ მერე სიბერე უფრო საზარლად გვეჩვენოს, და აგრეთვე—სილამაზეს, რომ შემდეგში ისევ წაგვართვას, უთხოვნია, თუ არა, დამიბრუნე და სიკვდილამდის შემარჩინეო ჩემი ახალგაზრდობა, სილამაზე და მოხდენილობაო, არ ვიცი, უთხოვნია თუ არა-მეთქი ეს ახირებული წყალობა, რომელიც არავისზე არ მოღებულა; არც ის ვიცი, აჰკვნესებია თუ არა გული სასოწარკვეთილებით, რაკი იცოდა, შეუძლებელს ვითხოვო? არ ვიცი მეთქი, მოგახსენებთ, მაგრამ ყოველი ეს უთუოდ უნდა გადაჰხდენოდეს მაგ საბრალოს. აი, მომისმინეთ.

ერთხელ, როცა ეგ ჯერ ისევ 35 წლისა იყო, შვილი ავად გაუხდა. მკურნალებმა კარგა ხანს ვერ შეიტყეს, რა ავადმყოფობააო, და საწყალი ბავშვი-კი თანდათან უკან-უკან მიდიოდა. ავადმყოფს უვლიდა და გვერდითგანაც არა ჰშორდებოდა ერთი მოხუცებული მღვდელი, იმ ბავშვის მასწავლებელი. დედა-კი მხოლოდ დღეში ორჯელ შედიოდა შვილთან—ერთხელ დილით ძვირფასის ტანისამოსით მორთული და ღიმილით ჰკითხავდა:

— როგორა ხარ, ქორჭ? უკეთ ხარ თუ არა?

— უკეთა ვარ, დედილო, უპასუხებდა საბრალო ბავშვი და ანთებულს თვალებს შეაჩერებდა დედას.

დედაც ცოტა პირ-ამრეზილად დაუწყებდა წამლების შუშებს სინჯვას, მერე მოაგონდებოდა, ვაიმე ესა და ეს დამავიწყდა იქით ოთახშიო და მობრუნდებოდა და გასწევდა.

საღამოზედ უფრო ცოტა ხანსა რჩებოდა, შემოვარდებოდა მოჩვენებასავით და მხოლოდ იმას თუ იკითხავდა, მკურნალებმა რა სთქვესო, თორემ სხვას არაფერს; მიბრუნდებოდა და წავიდოდა.

მღვდელი რამდენსამე დღეს დედას სულ იმ პასუხს აძლევდა, ჯერ არაფერი არა სჩანს-რა, მკურნალებმა ვერ შეიტყეს, რა ავადმყოფობააო. ხოლო ერთს საღამოზედ-კი გამოუცხადა, შენს შვილს ყვავილი გამოაჩნდაო.

გაიგონა თუ არა ესა, დედა ერთიან გაფითრდა, შეშინდა, შესწივლა და თავისს საწოლს ოთახში შევარდა.

მეორე დღეს მოახლე რომ შევიდა, ქალბატონი მოქანცულის, ნამტირალევის სახით დაჰხვდა: ეტყობოდა, მთელი ღამე არა სძინებოდა.

— ქორჭი როგორ არის? უკეთ არის თუ არა? ჰკითხა საჩქაროდ.

— არა, ქალბატონო, ეხლა უფრო მძიმედ გახლავთ.

— უფრო მძიმედ... დედა ბალიშებზე დაემხო და მწარედ ატირდა.

შუადღისას წამოდგა, წავიდა აფთიაქში და მრავალი სხვა-და-სხვა წამალი მოიტანა ყვავილის გასაფრთხილებელი, რომ არ გადმომედოსო.

მღვდელი სასადილო ოთახში ელოდებოდა.

— ქალბატონო, ქორჭი ძლიერ ცუდად გახლავთ და თქვენს ნახვასა ნდომობს.

— არა, მამაო, არ შემიძლიან.

— ქალბატონო, მკურნალმა სთქვა, მორჩენის იმედი აღარა მაქვსო, ნუ თუ თქვენს შვილს აღარ გინდათ გამოეთხოვოთ და უკანასკნელად მიეალერსოთ?

არა, არ შემიძლიან! ვერ მატყობთ, რომ ვერ შეუძლიან!?

ოხ, საყვარელო შვილო, ნუთუ უნდა წუთის სოფელს გამოესალმო!? შემიბრალეთ, მითხარით, მორჩებათქო! უთხარით, რომ მიყვარს, მაგრამ არ... შემიძლიან. ქალი მუხლებზე დაეცა და ხმაღლა ტირილი დაიწყო.

მღვდელი გამოვიდა სასადილო ოთახიდგან, ხოლო დედა-კი ისევ მუხლებზე იდგა, ტიროდა და იმეორებდა: „საყვარელო შვილო... არა... არ შემიძლიან!"

საღამოზე მკურნალი მოვიდა. საშინლად გაუკვირდა, რომ დედა შვილთან არ შედიოდა სანახავად, შეჰზარა იმისმა გულ-ქვაობამ, საყვედური დაუწყო, მაგრამ დედა პასუხის მაგიერ მხოლოდ ტიროდა. მკურნალმა ძალად დააპირა დედის წაყვანა შვილთან, მაგრამ ქალი კარებს მოეჭიდა და ვეღარაფრით ვეღარ დასძრეს.

ბოლოს თავი დაანება, გამობრუნდა, მაგრამ ახლა თითონ დედა ჩაუვარდა ფეხ-ქვეშ, დაუწყო ვედრება და პატიებასა სთხოვდა.

მომირჩინეთ, მკურნალო, მითხარით, მორჩება-თქო, მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით!

ყმაწვილს სულს ებრძოდა და ითხოვა, დედა მაჩვენეთ, გამოვემშვიდობოვო. მომაკვდავები სიკვდილის ჟამს რაღაც გონებაზე მოვლენ ხოლმე და იმ საწყალმაც ყველაფერი შეიტყო, რაც ამბავი ხდებოდა, და თავის თხოვნას ესეც დაუმატა:

— დედას უთხარით, ეგრე მოაჯირზე გაიაროს, ჩემის ფანჯრის გვერდით, თვალით მაინც დავინახო, რახან კოცნის ნება არა მაქვს.

მღვდელმა უთხრა დედას შვილის სათხოვარი და თითონ ძლივს-ღა იმაგრებდა ცრემლებს.

დედა დასთანხმდა, დაიხურა თავშალი, თანაც რაღაც წამალი აიღო ხელში, მაგრამ გადასდგა თუ არა სამიოდე ნაბიჯი აივანზე, უეცრად ხელები პირისახეზედ მიიფარა და ამოიკვნესა:

არა, არა, საშინლად მრცხვენიან, არ შემიძლიან!

ვეღარაფრით ვეღარ გაამბედვინეს გავლა.

საცოდავი ბავშვი სულ ფანჯარისაკენ იყურებოდა, აი ან ეხლა გამოივლის დედა ან ეხლაო, მაგრამ ტყუილად...

მეორე დილას ქორჭმა თქვენი ჭირი წაიღო. დედაც მაშინვე შეიშალა და მას უკანია იძახის, სახეზედ ყვავილის მუწუკები მაყრია, დავმახინჯდიო.

ს. გძელიშვილი

წინანდელმა ხმოსნებმა-კი, მართალია, დიდი მოსაზრება ვერ გამოიჩინეს და თავისის მოუსაზრებლობით ყოველს ტფილელს ბრიუსელის ხარჯი დაადეს კაცის თავზე თითო მანათი, მაგრამ იქნება, ვინ იცის, ეხლანდელებმა, ახლებმა უფრო დიდი უნარი, დიდი ცოდნა საქმისა გამოიჩინონ. რაკი ხმოსნებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ორიოდე ცნობაც მოვიყვანოთ იმავ გაზეთიდგან წრევანდელ არჩევანების შესახებ:

მთელს საბჭოში ერთი მესამედი ხმოსნებისა სულ ახალია. ახალი ხმოსანი ამორჩეულია 27 კაცი, ესე იგი 37,5% საერთო რიცხვისა. ამასთან სათქმელია ისიც, რომ პირველ რიგის ამომრჩევლებმა 4 ხმოსანი ამოირჩიეს ახალი, მეორე რიგის ამომრჩევლებმა—5 კაცი, ხოლო მესამე რიგისამ – 18 კაცი.

წინანდელს ხმოსნებში აწინდელს საბჭოს მოაკლდნენ: გრ. მ. ტ. ლორის-მელიქოვი, ბარონი ა. პ. ნიკოლაი, პ. კ. არლოვსკი, ს. ა. სლივიცკი, ნ. ზ. მირზოევი, ა. ა. ხარაზოვი, თ. გ. მ. თუმანიშვილი, ი. ს. ხატისოვი, კ. კ. რახმანინი, ვ. ა. დინგელშტეტი, მ. ი. დოლუხანოვი, მ. რ. დოლუხანოვი, ი. ა. ჩითახოვი, მ. რ. როტინიანცი, გ. ა. ქოჩორიანცი, ე. ო. წურინოვი, ი. გ. მუტაფოვი, ე. ი. ფუღინოვი, ქ. ე. ხოსროევი, მ. გ. ამბარდანოვი, ნ. ა. პაპოვი, ა. ა. ბაბანოვი, ნ. გ. გარსოევი, ნ. ა. ათაბეგოვი, ლ. შ. მელიქ-ბეგლიაროვი და პ. კ. მელიქ-კარაკოზოვი.

ხელობის, მოსაქმეობის დაგვარად რომ განვანაწილოთ ახალი ხმოსანთა რიცხვი, გამოვა, რომ ახალს საბჭოში:

სოვდაგარი ცხრაა, ბანკის მოხელე—8, ექიმი—8, მამულის შემოსავლით მცხოვრებელი—8, ხუროთმოძღვარი—7, სამხედრო წოდებისა—6, მოხელე—5, მექარხნე—5, ლიტერატორი—4, პედაგოგი—3, მოსამართლე და ნამოსამართლარი—3, მეტყევე და აგრონომი 3 და ნაფიცი ვექილი—2.

უველა ესენი სარწმუნოების დაგვარად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ

ყველაზედ მეტნი ახალს საბჭოში, რაღა თქმა უნდა, სომეხია—38 კაცი, ესე იგი 52,7% საერთო რიცხვისა, ამას მოსდევს ქართველი—22 კაცი, ანუ 30,5% და რუსი 11 კაცი, ანუ 15,2% საერთო რიცხვისა. ესენი საერთოდ შეადგენენ 71 კაცს, ერთი კაციც გერმანელია. წინანდელს საბჭოში ხმოსანთა შორის 54 სომეხი იყო, ე. ი. 75%; 8 ქართველი—11% და 10 რუსი—14%. რაღა თქა უნდა, რომ ეხლანდელს საბჭოში, ეროვნების კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, ხმოსანთა რიცხვი უფრო სამართლიანად არის შედგენილი, ვიდრე აქამომდე იყო. გაზეთის სიტყვით,

განსაკუთრებით ახალი საბჭო იმითი განირჩევა ძველისაგან, რომ ფულიანი კაცები აღარ მოჰყვნენ შიგ და იმათს გავლენას აცილებული იქნება ახალი თვით-მმართველობა ქალაქისა. ინტელიგენციის ყოფნა თუ არ ყოფნა საბჭოში აქამდე ამ ფულიან კაცების ნებაზედ იყო დამოკიდებული და იმას ირჩევდნენ ხოლმე, ვისი ამორჩევაც თითონ ეპრიანებოდათ და თავისთვის მიაჩნდათ ხელ-საყრელად. ეხლა-კი იგივე ინტელიგენცია ამ მხრივ უზრუნველ-ყოფილი და დამოუკიდებელია. რაღა თქმა უნდა, ახალს საბჭოში უმეტესობა ინტელიგენციაა და ყოველს გონიერს დაწყობილებას საბჭოსას, ქალაქის მკვიდრთა მდგომარეობის განსაკარგებლად წარმართულს, 45 კაცი ეყოლება მომხრე.

რამდენად გამართლდება გაზეთის წინასწარმეტყველება, ამას რასაკვირველია, დრო გამოაჩენს. ეხლა სასურველი მხოლოდ ის არის, რომ ახლად ამორჩეულმა ხმოსნებმა, ყოველისავე პირადობის მიუხედავად, სინიდისიერად მოჰკიდონ ხელი ქალაქის პატრონობის საქმეს და ეცადნენ, რომ ოთხის წლის შემდეგ მადლობით იქმნენ ხელ-ახლად ამორჩეულნი და არა უმადურად განშორებულნი ამ საპატიო თანამდებობისაგან. ოთხი წელიწადი საკმაო ხანია და თუ ვისმე უნარი აქვს რამე, ადვილად შეიძლებს ამ უნარის გამოჩენას. ეხლანდელმა ხმოსნად მყოფმა ინტელიგენციამ დიდი ფხა უნდა გამოიჩინოს, რომ შემდეგისათვის ფულიან კაცების გავლენას სულ ერთიანად აცილებული იქმნას ქალაქის თვით-მმართველობა, განიწმინდოს საბჭო და ხმოსნებად სულ ღირსეულნი, ინტელიგენტნი იქმნენ ამორჩეულნი!

## რუსეთი

კიევში დაარსდა „მხატვრობათა დამხმარებელი საზოგადოება,“ რომელსაც საგნად აქვს, შემწეობა აძლიოს მხატვრობის ნიჭის მქონე ახალგაზდათ და ხელი შეუწყოს სამხატვრო სწავლა-განათლების მისაღებად. ამ საზოგადოების დაარსება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ კიევის გუბერნიაში პირველ-დაწყებითი ხაზვა-ხატვის სასწავლებელი ბევრია და იქ სწავლა დამთავრებულს ნიჭიერს ახალგაზდებს ბევრჯელ შეძლება არა აქვთ, განაგრძონ სწავლა უმაღლესს სასწავლებლებში. ეს ახლად დაარსებული საზოგადოება აპირობს გამართოს კიევში მუდმივი სამხატვრო სახლი, სადაც ყოველ-გვარი მოწყობილება და იარაღები იქნება, რომ ახალგაზდა მხატვრებმა ერთად იმუშაონ და იშრომონ. გამართულ იქნება კიდევ მუდმივი გამოფენა ამ ახალგაზდათა მიერ ნახატთა და აგრეთვე მუზეუმი და ბიბლიოთეკაც სამხატვრო გამოცემათა, რომ მოსწავლეთ და ახალგაზდა მხატვრებს შეეძლოთ გაიცნონ და შეისწავლონ ნიმუშები ხელოვნებათა. შემდეგში, როცა ამ ახლად დაარსებულს საზოგადოებას უმეტესი შეძლება ექნება, კიევში გაიმართება უმაღლესი სასწავლებელი მხატვრობისა. ვინც ახალგაზდათა შორის უკეთესს ნიჭს გამოიჩენს მხატვრობასაც, იმათ საზოგადოება თავისის ხარჯით ან საიმპერატორო ხელოვნებათა აკადემიაში გაგზავნის სწავლის დასამთავრებლად და ან კიდევ საზღვარ-გარეთის იმ ქალაქებში, სადაც იმ გვარივე უმაღლესი რამ შესანიშნავი სასწავლებელია. მოთავეები ამ ფრიად კეთილის საქმისა არიან: ვიცე გუბერნატორი კიევისა ბაუმგარტენი, პროფესორები ხელოვნებათა აკადემიისა—ორლოვსკი და კოვალევსკი, პროფესორი კიევის უნივერსიტეტისა პრახოვი და სხვანი. საზოგადოებას შემდეგი შემოსავალი ექნება: ნამდვილ წევრთაგან ერთბაშად შემოსატანი ათ-ათი თუმანი და ყოველწლივ 5—5 მანათი, წარმოდგენებისა, საღამოებისა და სხვა ამგვარ გასართობებიდგან, რომელიც საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება, ლატარია-ალეგრებისა საზოგადოების წევრთა შორის და 5% პროცენტი იმ ფულისა, რომელიც გაყიდულ ნახატებისაგან შემოვა მუდმივს გამოფენაზე. ვინც ერთხანად 1000 მანათს შესწირავს, საზოგადოების საპატიო წევრად ჩაირიცხება.

— მხატვართა საურთი-ერთო დამხმარებელმა საზოგადოებამ ითავა სურათების გამოფენის გამართვა და ნებართვაც უკვე მიიღო. ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება ზოგიერთმა პროფესორთაგანმაც მოისურვა.

— სამზადისი სამუშაო პეტერბურგის მცხოვრებთა ერთს დღეს აღაწერად უკვე გათავდა. 7 ამ თთვისას უკვე დაიწყეს სასტატისტიკო ფურცლების დარიგება ამწერთათვის. ამწერი კაცი სულ 1800 კაცია. მომეტებული ნაწილი ამათგან უფრო მოსწავლე ახალგაზდობა—სტუდენტობაა. 12 დეკემბერს სასტატისტიკო ფურცლების დარიგება გათავდება და 15-ში თვით აღწერაც მოხდება.

— ფინლიანდიის რკინის გზების მთავარმა გამგეობამ ბრძანება გასცა, ყველა სადგურზე სამგზავრო ბილეთში და აგრეთვე საქონლისა და ბარგის გასაგზავნში რუსული ფულიც მიიღეთო.

— რუსეთის „ერის ჯან-მრთელობის მფარველი საზოგადოება“ აპირობს თავისი განყოფილება გახსნას ქალაქ ვორონეჟშიაც. ამის შესახებ თხოვნა უკვე მიართვა მთავრობას.

## უცხოეთი

საფრანგეთი. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ერთის თთვის წინად პარიჟის ერთ-ერთ სასტუმროში მოჰკლეს მდიდარი გენერალი რუსეთისა სელივესტროვი. მთელი პოლიცია პარიჟისა ფეხზედ დადგა და რამდენსამე დღეს ვერავინ ვერ შეიტყო მკვლელის ვინაობა. ბოლოს, როგორც იყო, მიაკვლიეს, რომ მკვლელი ყოფილა პადლევსკი, რომელიც იმ ხანად ჯერ ისევ პარიჟში იმალებოდა. პოლიციამ ყოველივე ღონის-ძიება მიიღო, რომ შეეპყრათ მკვლელი, მაგრამ იმან მალე თავს უშველა და ამერიკაში გაიქცა.

ეხლა გაზ. „L' Ecnair“-ში მოთხრობილია დაწვრილებით სელივესტროვის მოკვლის ამბავიცა და პადლევსკის გაქცევაც ამერიკაშიო. მოთხრობა ამ ამბისა დაუბეჭდია ლაბრუერს, სწორედ იმას, ვისაც უშველნია პადლევსკისათვის, რომ პარიჟიდამ გაპარულიყო. ყველას ის უკვირს, რომ ამ კაცმა თავის თავი რად გააბა მახეში და რად დაბეჭდა გაზეთში ისეთი ამბავი, რომლის გამოცხადებისთვის პასუხის გებაში იქმნება მიცემულიო. ლა-ბრუერი წინად ბულანჟეს მომხრე ყოფილა, ბევრჯელ ჰქონია დუელები, უბრძოლნია დუელში, სხვათა შორის გერმესთანაც, რომელმაც გამოააშკარავა ბულანჟეს დაფარული საიდუმლოები. აი როგორ მოუთხრობს საზოგადოებას ეს უცნაური რეპორტიორი თავის დანაშაულობის ამბავს: გენერლის მოკვლის შემდეგ სამი დღე გავიდა და ჩემთან მოვიდა ვიღაც ქილი, რომლის სახელსაც აი დავასახელებ, და მითხრა, უშველეთ როგორმე და დამალეთ, ან გააქციეთ საფრანგეთიდამ პადლევსკი, რომელიც ჯერ ისევ პარიჟშიაო. მე ვიფიქრე, უთუოდ გენერლის მოკვლის მიზეზი საპოლიტიკო დანაშაულია-მეთქი და უარი ველარ ვუთხარი უცნობს ქალს და დავპირდი დახმარებას. მაგრამ ვხედავდი, რომ ძნელად მოსახერხებელი საქმე-კი ვიტვირთე, რადგან მთელს პარიჟსა და საფრანგეთში გაფაციცებით ეძებდა პოლიცია ამ კაცს. გამოვკითხე ქალს, სად არის-მეთქი მკვლელი და როცა გავიგე იმისი ბინა, გადავსწყვიტე, რომ ერთად-ერთი ღონე იყო, სრულიად ცხადად და დაუფარავად გამეპარებინა როგორმე საზღვარ-გარედ. ამისათვის ფული იყო საჭირო, მე-კი ფული არა მქონდა. ავდექი და მივედი C' Eclair-ის რედაქციაში. ვუთხარი იქ, რომ ისეთს წერილს მოგიტანთ, რომლიც მგზავსი ჯერ არც ერთს გაზეთში არ დაბეჭდილიყოს და ქვეყანაც დიდად აალაპარაკოს-მეთქი. ამისათვის მხოლოდ ფულია საჭირო, თუმცა წინდაწინ კი ვერ გეტყვით, რა წერილი იქნება, ან რის შესახებ და ან როდის მოგიტანთ-მეთქი. რედაქცია მენდო, მომცა ფული და მეც შევუდექი საქმეს. რა-კი ხშირად ვიბრძვი ხოლმე დუელში, გაზეთში ყრუდ გამოვაცხადე, რომ ტიროლში მივდივარ საბრძოლველად და თან მიმყავს ჩემი სეკუნდანტები-მეთქი. დანიშნულს დროს გავუარე პადლევსკის, ჩავისვი ეტლში და მდიდრულად ჩაცმული კაცის მკვლელი წავიყვანე ლიონის ვაგზალზე, ვითომ დოქტორია, რომელიც დუელის შემდეგ დაგვჭირდება. ხუთი წუთი-ღა იყო დარჩენილი მატარებლის წასვლამდე, როცა ვაგზალზე მოვედით. იქ ჩემს ვითომ და სეკუნდანტებს დაემზადებინათ ცალკე ვაგონში ადგილები. აქ მეტად ეჭვის თვალით დაუწყეს სინჯვა პოლიციელებმა ჩვენს ვაგონს. რომ ეჭვი მათი გამექარწყლებინე, გამოვედი ბაქანზე და ლაპარაკი დავუწყე ჩემს ნაცნობს რკინის გზის სადგურის უფროსს. რაკი უფროსმა გაიგო, რომ დუელში გასასასვლელად მივდიოდი, მიმიწერა წერილი საზღვარზე მყოფ სადგურის უფროსთან, იქ საბაჟოზე უფრო აღარ შეგვაწუხებენო. საზღვრამდე კარგა ვიმოგზაურეთ, არაფერი არა შეგვემთხვევია-რა, მაგრამ იქ-კი მეც და პადლევსკიც, რომელსაც მეტად გულ-დამშვიდებით ეჭირა თავი მთელს ამ მოგზაურობაში, შევკრთით და აღარ გვეგონა თუ გადურჩებოდით საიდუმლო აგენტებს, რომელნიც მრავლად იყვნენ იქ იმ დროს. იქ იყო აგრეთვე თვით გამომძიებელიცა და პროკურორიცა. ვიდრე სეკუნდანტები ჩვენს ბარგს აშინჯებდნენ საბაჟოში, ჩვენ ბუფეტში დავსხედით და იქ ვიცდიდით. ვნახოთ, ჩვენ წინ აიტრუჰა ორი კაცი და გაშტერებით დაუწყეს ცქერა პადლევსკის. მაშინვე ვიცანი, ვინც იყვნენ ის ორნი. გაჭირდა საქმე. ძალიან ადვილად შეეძლოთ იმათ ეცნოთ გენერლის მკვლელი და დაეპატიმრებინათ მაშინვე. მით უმეტეს, რომ ხელში ჰქონდათ ფოტოგრაფიული სურათი პადლევსკისა, რომელსაც სახე არ გამოვუცვალე და მხოლოდ მდიდრულად მოვრთე. იმ წუთს დავინახე სადგურის უფროსი. მომაგონდა გამოტანებული წერილი, მივირბინე და წერილი მივეცი. უფროსმა მკითხა, რით შემიძლიან გემსახუროთო. გმადლობთ, არაფერი სათხოვარი არა მაქვს, მხოლოდ, თუ შეიძლება, ნება მომეცით გაგაცნოთ ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც აქ ბუფეტშია-მეთქი. პადლევსკი მივიყვანე მაშინვე, გავაცანი და ვუთხარი: დოქტორი ვოლფი გახლავთ. გავაცანი აგრეთვე სახელმწიფო პოლიციის კომისარს, რომელიც იმ უფროსთანვე დასეირნობდა. იმან ყურადღება არ მიაქცია პადლევსკის, მხოლოდ ოდნავ დაუკრა თავი და გატრიალდა. ასე თუ ისე, გავედით საზღვარ გარედ, მივედით ტრიესტს და იქიდამ პადლევსკი გემით ამერიკაში გავისტუმრე. ვიდრე ტრიესტამდე მივდიოდით, პადლევსკიმ გზაში მიამბო, როგორც მოკლა გენერალი. მე არავისგან ჩაგონებული არ ვიყავი, ჩემ თავად ვმოქმედებდი და არავითარ კომიტეტისაგან მაგის ბრძანება არ მომსვლიაო. როცა მარტოდ-მარტონი დავრჩით ოთახში, ვესროლე რევოლვერი და იქვე გათავდა კაცი. რევოლვერს ისეთი ყრუ ხმა ჰქონდა, რომ ვერავინ ვერა გაიგორაო.

მთელი პარიჟია და ეს ამბავი. დიდი ალიაქოთი ასტეხა ამ მოთხრობამ უფრო სასამართლოს და პოლიციის მოხელეთა შორის. ბევრს არა სჯერა ლა-ბრუერის ნაამბობი, სწორედ თვალებს გვიხვევს ეგ კაციო. უმრავლესობას-კი სჯერა და გააქეთ და გამოაქეთ პოლიცია, რომელსაც ვითომ ასე უცნაურად გამოავლეს ჩალა პირში.

## წვრილი ამბები

სხვა-და-სხვა სალდველის ფალსიფიკაციას საზღვარი აღარა აქვს გერმანიაში. მაგალითად, ამას წინად ვიღაცა გაჰრებმა საგანგებო ქარხნები გამართეს ყავის მოსამზადებლად და თანაც დაურიდებლად აცხადებენ საზოგადოებაში, ჩვენი გაკეთებული ყავა ნამდვილს ყავას არაფრით არ ჩამოუვარდებაო.

— თავადი ბისმარკი მთელი შემოდგომა ვარცინში იყო და ამ ზამთარს საცხოვრებლად ფრიდრიხ-სრუეში აპირობს წასვლას. საშობაოდ მთელი იმის ოჯახი იქ მოიყრის თავსა. როგორც ბერლინის გაზეთები ამბობენ, ბისმარკი ძლიერ კარგად არის თურმე.

— ბერლინის რომელსაღაც გაზეთში სწერია, რომ იმპერატორი ვილჰელმი ამჟამად მალ-მალე მართავს ხოლმე „საპედაგოგიო საღამოებსაო“. ადრევაც, როცა ვილჰელმი ჯერ იმპერატორად არ იყო, დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას იმ გვარს კრებებში, სადაც სკოლების შესახებ იყო სჯა-ბაასიო.

— საფრანგეთის აკადემიამ ოჟიეს სიკვდილს შემდეგ სამხედრო მინისტრი ფრეისინე აირჩია მის ადგილას. ემილ-ოლივიეს გარდა, თითქმის ყველა „უკვდავთ“ მოიყარეს თავი არჩევანზე. თუმცა ეგონათ, პირველს კენჭის ყრაზედვე იქნება არჩეული ფრეისინეო, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ მოხდა. პირველად მხოლოდ 13 კენჭი ერგო და დანარჩენი 12 ისტორიკოსს ტიერო დანჟენს შეჰხვდა, 7 კრიტიკოსს ბრიუნეტიერს, 3—ემილ-ზოლას და 2—ც დრამატურგს ანრი ბეკკს. მეორე კენჭის ყრაზე ფრეისინეს 17 კენჭი შეჰხვდა, ტიურ-

რო დანყენს—13, ბრიუნეტიერს—4 ემილ-ზოლას—2 და ბეკს—1. მესამე რიგობაზე ფრესინემ 20 ხმა მიიღო, ტიური დანყენმა—12, ბრიუნეტიერმა—3, ემილ-ზოლამ—1 და მწერალმა ბარბიემაც—1.

— აი თუ გინდათ სასაცილო ამბავი სწორედ ეს არის. ამას წინად ნიცაში გარდაიცვალა ქ-ნი ვასტერგაუზენი. ამ ქალის დედა პოტსდამში სცხოვრობს და როცა შვილის სიკვდილი შეიტყო, დეპეშა გაუგზავნა, მიცვალებული რკინის გზით აქ გამომიგზავნეთ, აქ უნდა დავმარხოვო. კუბო მართლა მიუვიდა, მაგრამ როცა თავი ახადა, შიგ იმის შვილის მაგიერ ვიღაც რუსი აფიცერი იყო ჩასვენებული სამხედრო ტანისამოსით. თურმე სწორედ იმ დროს, როცა ვასტერ-გაუზენის გვამს პოტსდამში გზავნიდნენ, იმავე სადგურზედ მიიტანეს ამ აფიცრის გვამიც სმოლენსკში გასაგზავნად. გამგზავნს რკინის გზის მოხელეს კუბოები შესცვლოდა თუ ადრესები, ხოლო ერთი მეორეს ადგილას-კი გაეგზავნა. ქალის დედამ საჩქაროდ შეატყობინა რუსეთში, მანდ შეცდომით ჩემის შვილის გვამი გამოუგზავნიათო, მაგრამ პასუხად ის მიიღო, რომ ჩვენ უკვე დავმარხეთ იმ წესით და პატივით, რაც აფიცერს შეეფერებაო.

— ჟურნალი „Nort und süt“ აცხადებს, რომ წლეულს ჩვენს ჟურნალში ფერდინანდ ლასსალის დღიური დაიბეჭდებაო. ეს დღიური გრაფინია გაცფელდის გარდაცვალების შემდეგ იმის ქაღალდებში უპოვნიათ. ლასსალს ეს ქალი უყვარდა და მიწერ-მოწერაც ჰქონდა იმასთან. ზემოხსენებულის ჟურნალის რედაქციამ ნება-რთვა უკვე მიიღო მთავრობისაგან ლასსალის დღიურის დასაბეჭდად.

— ერთი კორრესპონდენტი „Нов. Вр.“-სი ამას წინად იაპონიაში იყო სამოგზაუროდ და შემდეგს სწერს ამ ქვეყნის წარმატების შესახებ: პირველად იაპონიაში 1873 წელს ვიყავიო და ეხლა რომ ხელ-მეორედ ვნახე ეს ქვეყანა, სულ სხვა ქვეყანად მეჩვენა, ისეთის წარმატებაში შესულა ამ მოკლე ხნის განმავლობაშიო. ტანთ სწორედ ისე იცვამენ და ისე სცხოვრობენ, როგორც ნამდვილი ევროპიელები. გამოფენებზე აუარებელი ნაწარმოები და საქონელი მიაქვთ, თავიანთ ქვეყანაშივე მომზადებული და ისე კარგად და ლაზათიანადაც მომზადებული, რომ ევროპიელთა ნაწარმოებს არაფრით არ ჩამოუვარდება. იაპონიელთ ეხლა უკვე ლაფრის გაკეთება და მომზადება შეუძლიანთ, რაც-კი იმათ ქვეყანასა და ჩინეთს დასჭირდება. ამ გარემოებას ხელს უწყობს და ეხმარება ჯერ თვით იაპონიელთა შრომის მოყვარეობა და გამრჯელობა და მეორეც მშვენიერი ჰავა და ნაყოფიერი მიწა. ეხლავე უკვე მრავალს ქალაქშია შემდგარი ამხანაგობანი ისეთის ქარხნების დასაარსებლად, რომელშიაც მანქანები ორთქლისა და ელექტრონის ძალის შემწეობით უნდა ამუშაონ. ხელის შემწყობი პირობა იმდენია, რომ პატარა ხანს უკან არც ერთს სახელმწიფოს აღარ შეეძლება იაპონიელებს მეტოქობა გაუწიოს ვაჭრობაში. ეხლაც თითქმის მთელს იაპონიაში უცხოელი ვაჭარი იშვიათად-ღა მოიპოვება და შემდეგ ჩინეთის ვაჭრობასაც მგონი ესენივე დაინარჩუნებენ. ხიდების გასაკეთებლათ და რკინის გზების გასაყვანად სულ იაპონიელი ინჟენრები მუშაობენ და არც ერთი უცხოელი აღარა სჭირდებათ. თვითონვე იაპონიელები აშენებენ და აკეთებენ გემებს და ფოლადის ზარბაზნებსაც. მრავალი წვრილი ქალაქი ელექტრონით არის განათებული და ერთის სიტყვით, იაპონია იგივე ევროპაა, მხოლოდ ჯერ ნორჩი და ახალგაზდა კი.

# დეპეშები

11 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ გაიხსნა პირველი სრულიად რუსეთის გამოფენა ქალების სამხატვრო-სამრეწველო ნაწარმოებთა.

გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა სადღესასწაულო აუდიენციაზე მიიღო ნიდერლანდელი გენერალ-ადიუტანტი ფერსპიკი, მოსული მოსახსენებლად, რომ დედოფალი ვილჰელმინა ტახტზე ავიდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბერი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | $140^3/_4$ | $141^1/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 97 | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა | 217 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — „ | — „ | 212 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

თმის გასამაგრებელი

**ბალზამი ეიკლიპტი**

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს თმის გასამაგრებელი საშუალება სპობს თავის ქერტლს და თავის განს სინაზეს აძლევს.

თითო შუშა ღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. ორი შუშა გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებსა ვთხოვთ ყოველს შუშაზედ გასინჯოს, რომ ეტიკეტს წითლის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 38. (5—5)

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—28)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მიბაძვა ქრისტე'ი წიგნი III—IV ყდით | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| თხზულებანი რ. ერისთავისა II ნაწ | „ | 40 |
| კედლის კალენდარი 1891 წლისა | „ | 40 |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა | „ | 25 |
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქეთესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Изданія ГОДЪ 2-Й

на **1891** годъ.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

на ежедневную

**„МОСКОВСКУЮ ИЛЛЮСТРИРОВАННУЮ ГАЗЕТКУ“**

съ безплатными литературными и художественными приложеніями.

**ЕДИНСТВЕННОЕ и ПЕРВОЕ ВЪ РОССІИ ЕЖЕДНЕВНОЕ** иллюстрированное изданіе, выходящее въ форматѣ **БОЛЬШИХЪ** ежедневныхъ газетъ.
Существующія нынѣ ежедневныя изданія даютъ рисунки и иллюстраціи въ ограниченномъ количествѣ, **„Московская Иллюстрированная Газетка“** даетъ ихъ

**50** приложеній въ годъ, 25 въ полгода, 4 въ мѣсяцъ.

**ЕЖЕДНЕВНО**; кромѣ этого **„Моск. Иллюстр. Газетка“** даетъ въ теченіе года **ПЯТЬДЕСЯТЪ безплатныхъ** литературныхъ и художественныхъ **приложеній и БОЛЬШУЮ** художественно-исполненную **КАРТИНУ** извѣстнаго художника. **Всѣ** подписчики получатъ **БЕЗПЛАТНЫЯ** литературно- художественныя **приложенія**.

Подписавшіеся на 1891 годъ получатъ кромѣ **„ГАЗЕТКИ“** до 50 выпусковъ приложенія и **БОЛЬШУЮ КАРТИНУ**, подписавшіеся на полгода получатъ до 25 вып., на 3 мѣсяца до 12 вып., на 1 мѣсяцъ до 4 выпусковъ прибавленія.

**Приложенія** состоятъ изъ беллетристическихъ произведеній, роскошно иллюстрированныхъ; каждый выпускъ состоитъ изъ 16 стран. текста и 5—10 рис.

Разсрочка подписной платы:
Для готовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 2 руб. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 рублю, до уплаты подписной суммы.

Подписная цѣна со всѣми приложеніями.

| | безъ дост. | съ дост. и перес. |
|---|---|---|
| на годъ | 7 р.—к. | 8 р.—к. |
| на полгода | 4 „ — „ | 5 „ — „ |
| на 3 мѣс. | 2 „ 50 „ | 3 „ —50 „ |

Адресъ: Москва. Гнѣздниковскій пер., домъ Мартыновой.

Разсрочка подписной платы:
Для полугодовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 1 р. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.
Для подписавшихся на 3 мѣс.: при подпискѣ 1 р. 50 к. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.

(3—2) Редакторъ издатель **Н. Соѣдовъ**.

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

**ქუთაისის ბანკის საქმე.**

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.


Доз. цен. Тифлисъ, 11-го Декабря 1890 г. Типо-Литографія Б. I. Месхіева и С.А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. у. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე